# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 34 სამშაბათი, 30 დეკემბერი 1908 წ. № 34



გაზეთი **„დროება“** ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭВА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**


## „დროების“ კანტორისაგან.

ძველ ხელის-მომწერლებს პირველ იანვარიდან გაზეთი „დროება“

## ◀ აღარ გაეგზავნებათ ▶

„დროების“ კანტორა ღიაა დილით 9—3 ს., საღამოთი 5—8 საათზე.


მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

# დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

✦ ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის საიდუმლოებ“ ფელეტონები. ფელეტონები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყო ბეჭდვა.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ✦

✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთბაშად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უდამატებოდ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

## კალენდარი 1909 წლისა

**ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში:**
„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქუთუკაძესთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე პელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა მიიღება: **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან; **ქუთაისში**—ის. კვიცარიძესთან; **გორში**—ს. პ. მშველიძესთან; **სურამში**—ქელივაძესთან; **ცხინვალში**—ა. კვალინიძესთან; **თელავში**—კ. ონიკაშვილთან.

◀ **ხელის მომწერთა საყურადღებოდ** ▶

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ტფილისში ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.


**მღვდელი ალექსანდრე არდიშვილი**, მეუღლე მისი **ანასტასია**, ასულნი მათნი **დარია, ოლღა** და **პარასკევა** და შორს მყოფნი შვილნი **კონსტანტინე** და **ვარლამ არდიშვილები** აუწყებენ ნათესავთ, მოყვარეთ და მეგობართ, რომ სამშაბათს, 30 ამა დეკემბერს, სოფელ კლდეეთს დანიშნულია წლის წირვა და წესის აღსრულება პირველთა—დაუვიწყარ შვილის, და დანარჩენთა საყვარელ დის

## ნინა არდიშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

**გიორგი და კონსტანტინე იოსების ძენი, ბარბარე დავითის ასული** და **ევა მიხეილის ასული ზურმუხტაშვილები** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—საყვარელ დედის, მეორენი—დედამთილის

## მელანია მალხაზის ასულის ზურმუხტაშვილისას.

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე ნიკოლოზის ქუჩაზე, საკუთარი სახლში, № 10. დაკრძალვა ოთხშაბათს, 31 დეკემბერს. ცხედარს ამ დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან გაასვენებენ წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—700—1)

1909 წლის იანვრის სამს, შაბათს, ქუთაისის საკათედრო სობოროში და აგრეთვე სოფელ კულაშში ჯვარცმის ეკლესიაში, საფლავზედ, გარდახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ მოსპობილის

## სვიმონ სვიმონის ძის (სისო) მიქელაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ყოვლად უბედური დედა მისი **სოფიო** და ძმა **მელქისედეკ დიმიტრის ძე მიქელაძეები.** (1—701—2)

28 ქრისტიშობისთვეს უეცრად გარდაცვალა

## მარიამ გრიგორის ასული მამაცაშვილისა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი დანი: **ტატიანა ფირცხელაურისა, ნინა ყარანაშვილისა** და **ეკატერინე დეროზა** და ძმის წული **გრიგორ პარკაძე.** პანაშვიდი 30 დეკემბერს დილის 10 საათზე და საღამოს 6 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ 31 ქრისტიშობისთვეს დილის 10 ს. (მიხაილოვის ქუჩა, ს. № 144.) ნიკოლოზის ეკლესიაში, იქიდან კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. (1—703—1)


**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, სამარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაებს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლეჩხუმის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—6.—20)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** **ნ. მ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (25—656—18)

**ექიმი** **ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** **ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიყარაძისა (6—36)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამღორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—60)

**ექიმი** **კ. თ. ტყეშელაშვილი** **ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსენატი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმლების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—24)

**ექიმი** თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე** დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—668—14)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—60)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჯალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** **ა. ი. აშიანცი** ქუთაისში ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საგუბერნიო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—ჯგ.—21)

8 დეკემბერს გაიხსნა ახალი

## ტფ. კერძო სამკურნალო
(ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაკზლის ქ., 8; ს. ენფიანჯიანცისა; ტელეფონი 695.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოვ. დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ნახ.—9 ნახ. საათამდე შინაგანი.

**ექ. ვ. დ. ლამბაშიძე:** ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

**ექ. ბ. მ. მაკაროვი:** სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოვ დღე; 11 ნახ—12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ხირურგ. ავად.

**ექ. ი. გ. გომართელი:** ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. (25—657—15)



**წარმოდგენა № 5.** **ქართული თეატრი** **წარმოდგენა № 5.**

პარასკევს, 2 იანვარს 1909 წ. **ქართულის თეატრის 50 წლის არსებობის სახსოვრად** ივ. გომართელი წაიკითხავს რეფერატს ქართულ თეატრის არსებობაზე. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I **გაყრა** პირველი მოქმედება. გიორგი ერისთავისა.

II **სცენები მიროვოი პოსრედნიკთან** 1 მოქ. ილია ჭავჭავაძისა.

III **მათიკო** მეხამე მოქ. ავქსენტი ცაგარლისა.

IV **გუტიაოგა** ხუმრობა 1 მოქ. აკაკი წერეთლისა.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 3 მ.-მდე, პარტერი 3 მ. 50 კ.-დან 1 მ. გალერეია 60 კ.-დან 20 კ.-მდე. მოწაფეებისათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „ზელები“ ლემონიესი. „ლატატი“, „მემკვიდრე. ბრინგი“, „სალხინო“.

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

სამშაბათს, 30 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება

## „ზ ა ზ ა“

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, ზასლავსკაია, დრუზიაკინა, კალინინა მეორე, ფერრარი; ბ-ნნი დანილევსკი, კარქევინი, როზანოვი, სიმონოვი, ტომსკი, ლუტჩევი, კარელინი და სხვ.

დირიჟორი **ა. ეიხენვალდი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** 31 დეკ. „სიყვარულის ღამე“. წარმ. გათავდება საღამოს 10 ნახევარ საათზე. 1 იანვარს დილ. დაკლ. ფას. შობის ხე, „ნურ და ანიტრა“ და პროჟექტორი; საღამოთი „ჰუგენოტები“; 2 იანვ. სიცილიაში მიწის-ძვრისაგან დაზარალ. სასარგებ. „ევგენი ონეგინი“.

## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა



სამშაბათს, 30 დეკემბერს, სპორტი-წარმოდგენა სამ-მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ საუკეთესო არტისტები. სხვათა შორის მესამე განყოფილებაში საერთა-შორისო ჩემპიონი ფრანგულ **ჭიდაობისა.** იჭიდავებენ: 1. **მულტონი** და **ლურიხი:** და **გოგანსონი** და **ტომაშევსკი;** 3. **ყარა-მუსტაფა** და **ანდერსენი.** დაწვრილებით პროგრამებში.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

**ექიმი** **ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

## ამერიკულ ვაზის სანამყნე.
ჯნერგი რუპრესტრის მონტიკულა (ანუ დუდო)

იყიდება ს. კარალეთს გორის მაზრაში თავ. მ. რ. ერისთავის მამულში.

1) 1000 ძირი არშინ-ნახევარი 15 მან.
2) 1000 „ „ „ 10 „
3) 1000 ძირი მოკლე დასარგავად 3 „

ადრესი: ქ. გორში თ. მიხეილ რევაზის ძე ერისთავი. სობოროს ქ. საკუთარ სახლებში. (4—690—3)

**აკაკის** იუბილეის ძვირფასი სახსოვარი

გასასყიდად დაურიგდა: ქ. შ. წიგ. გამ. საზოგად., ქუთაისში ის. კვიცარიძის და სხვა წიგნის მაღაზიებს ახ. „კალმის“ ახალი გამოცემა: ფერადი წამლებით დახატული საიუბილეო სიმბოლიური სურათი. ფასი ყველგან ორი აბაზი. უმთავრ. საწყობი ამხ. გამგესთან—გ. სალარიძესთან (ტფილისში: ოლგას ქუჩა, № 31). (3—უ.—2)

◀ **მოზრდილ** ▶

## ქალთა კურსები
(მასწავლებლების საზოგადოება)

მიღება მოწაფეებისა 3, 4, 7 და და 8 იანვარს, ნიკოლოზის ქუჩა № 104. (3—უ.—2)

**„ტფილისის სობრანიე“**

შაბათს, 3 იანვარს, 1909 წელს გაიმართება

## მასკარადი

ბილეთები [მარკებისთვის] (ფასი 50 კაპ.) წევრებსა და განდიდატებს მიეცემათ „სობრანიეს“ შვეიცარისაგან ყოველ დღე დილით 10—2 ს., საღამოთი 7—12 საათზე.

სამხედროები მუნდირებში უნდა იყვნენ, დანარჩენები სერთუკებსა ან ფრაკებში და აგრეთვე ეროვნულ ტანისამოსში.

სტუმრებს საზოგადოებისათვის შეუძლიანთ შესვლა. უნდა გადაიხადონ 2 მანეთი. (2—704—1)

**გეომეტრი და მარკშაიდერი**

## გ. ს. ასათიანი

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა საქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა. ბ. ასათიანი. (0—6.—71)


## ტფილისი, 30 დეკემბერი.

მოკლე ხანში უნდა მოხდეს არჩევნები ეგრედ წოდებულის ტფილისის სამეურნეო ბანკის თავმჯდომარისა, რადგან მისი აწინდელი თავმჯდომარე, თავ. ვლ. მიქელაძე, საცხოვრებლად გადადის პეტერბურგს, სადაც იგი არჩეულ იქმნა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა ცენტრალურ ბანკის გამგეობის წევრად. ამის გამო ქართველ საზოგადოებაში დაიწყება ჩვეულებრივი საარჩევნო აგიტაცია და ერთის წუთით გაიღვიძებს ინტერესი ამ დაწესებულებისადმი, რომელიც სხვა დროს არავის არ ახსოვს და არავის არ აინტერესებს.

და მართლაც, საზოგადოებისათვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს ბანკი, რომელსაც „სამეურნეო“ მხოლოდ სახელად ჰქვია და და რომელიც გადაიქცა წვრილ თავადაზნაურობის... მასუქების გამსაღლებელ დაწესებულებად. სასოფლო-მეურნეობასთან მას არავითარი კავშირი არა აქვს, კავშირად არ ჩავთვლით იმ უმნიშვნელო შემთხვევით გარემოებას, რომ მის წევრთა შორის ბევრი თავადი და აზნაურია. არავითარ ოპერაციას, გარდა წვრილ ვექსილების განაღდებისას, ბანკი არ აწარმოებს; წინად ორიოდე გროში გასცა სამეურნეო ნაწარმოების გირაოთი ან საქონლის დაგირავებით, ეხლა ესეც მიასუსტა და სდგას ერთ წერტილზე განუვითარებლად და ქვეყნისთვის თითქმის უსარგებლოდ.

ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს გარემოება ანორმალური და სამწუხარო ჩვენს მდგომარეობაში. ჩვენს ყოფაში საჭიროა ყოველ დაწესებულების ინტენსიური გამოყენება; საჭიროა ყოველგვარ საზოგადო დაწესებულების ისეთი მოწყობა და აწარმოება, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს ქვეყანას და ყოველმხრით დაქვეითებულს ჩვენს ცხოვრებას. ამას გვეუბნება ჩვენი საზოგადო მდგომარეობა, ხოლო სპეციალურად კრედიტის მხარეს თუ მივაქცევთ ყურადღებას. ჩვენთვის ერთი ათად ცხადი შეიქნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ საკრედიტო დაწესებულება მიზნის შესაფერისად ვერ გამოგვიყენებია... მიმოიხედეთ ირგვლივ, დაუკვირდით ჩვენი სოფლის დღევანდელ ყოფას და თქვენ დარწმუნდებით, რომ სწორედ სამეურნეოკრედიტის მოუწყობლობა და განუვითარებლობა შეადგენს უდიდეს ჟამთა სიავეს სოფლის ცხოვრებაში. ჩვენი სოფელი კვლავინდებურად ჩარჩისა და მევახშეს ხელშია; კვლავინდებურად სოფლის მეურნე წარმოუდგენელს სარგებელს იხდის მათ სასარგებლოდ. მეორეს მხრით, სოფლის მეურნეობა დაეცა, მიწა გამოიფიტა, წინანდელი წესი მეურნეობისა ველარ აკმაყოფილებს მოკირნახულეს, საჭირო შეიქნა ახალი წესი, ახალი დარგი, საჭირო შეიქნა სასოფლო მეურნეობის განვითარება; მაგრამ სოფლის ხალხმა არ იცის, რა გზით და რა ხერხით მოახდინოს მომწიფებულის საჭიროების დაკმაყოფილება. კულტურულსა და განათლებულს ქვეყნებში სასოფლო მეურნეობა გაჭირვებიდან იხსნა კოოპერაციამ და მოწესრიგებულ-მოწყობილმა სამეურნეო კრედიტმა; ჩვენმა სოფელმა არც ერთი, არც მეორე საშუალება არ იცის და სულ ლაფავს აუტანელს ბრძოლაში. დასავლეთ ევროპის სოფელიც იყო ერთ დროს ამ განსაცდელში, იქაური მშრომელი ხალხიც სულმოძრავი აჩანჩალებდა ცხოვრებას, მაგრამ კოოპერაციამ და კრედიტმა სული ჩაუდგეს და აღორძინეს ახალ ცხოვრებისათვის. დასავლეთ ევროპის სოფლის მეთვალყურენი ერთხმად მოწმობენ, რომ გუშინდელი და დღევანდელი იქაური სოფლები ერთმანეთში განირჩევიან როგორც დღე ღამისაგან და რომ ეს სასწაული კოოპერაციამ და კრედიტმა მოახდინეს. დღეს დასავლეთ ევროპის სოფელი მოფენილია სხვა და სხვაგვარის კოოპერატიულისა და საკრედიტო დაწესებულებით, რომელთაც ზურგი გაუმაგრეს სოფლის ხალხს, წვრილ მეურნეს, გლეხს. თუ რა გავრცელებულია ეს მოძრაობა ზოგიერ ქვეყნებში, შემდეგი ციფრები გვიმტკიცებენ: გერმანიაში წარსულ საუკუნის დასასრულ (რვა წლის წინად) 10 ათასამდე სხვა და სხვა საკრედიტო სასოფლო დაწესებულება იყო, რომელთაც ორი მილიარდი მარკა ჰქონდათ გაცემული სოფლად, ავსტრიაში 4 ათასზე მეტი ამგვარი დაწესებულება იყო, რომელთაც სოფლად 500 მილიონი გულდენი ჰქონდათ დატრიალებული; საფრანგეთში 3 ათასამდე და სხვა; გერმანიაში ერთი კოოპერაცია სასოფლო მეურნეობისა ან სასოფლო კრედიტისა 4500 სულზე მოდის, ავსტრიაში—800 სულზე, იტალიაში—25 ათას სულზე; რუსეთის იმპერიაში-კი ერთი ამგვარი დაწესებულება 100 ათას სულს არ ხვდება წილად!..

ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენებურს სოფელში დიდი მოთხოვნილებაა კრედიტში და ხალხი აუარებელ ფულს უხდის მევახშეთ; მეორეს მხრით ვიცით, რომ ჩვენი სოფელი იმდენად განვითარებული არის, რომ შეუძლია კოოპერატიული დაწესებულება გამოიყენოს; მაგრამ არც დამწყებია საქმის ვინმე, არც გზის მაჩვენებელი. იტალიის სოფელი, მაგალითად, ამავ პირობებში იყო ამ 20—30 წლის წინად და იქაური გლეხი კულტურის მხრით არც ისე მაღლა იდგა ჩვენს გლეხზე; მაგრამ იქაც, როცა ინიციატორი და გზის მაჩვენებელი გაჩნდა, სოფელი ახალ ცხოვრებისთვის აღორძინდა. საყურადღებოა, რომ იქ ინიციატივა კერძო ბანკებმა იკისრეს. აქა-იქ დაარსდა სამეურნეო ბანკები არა უდიდესი, ვიდრე ჩვენი ტფ. სამეურნეო

ბანკი არის. ბანკის დამაარსებლებ-მეთაურებმა მიიტანეს სოფელს და გამოუცხადეს ძოძოლა მევახშეთ. დაჰპირდნენ ხალხს კრედიტს, ბევრად უფრო იაფ კრედიტს, თუ იგი უზრუნველ-ჰყოფდა ნასესხებ ფულის დაბრუნებას; ამგვარ გარანტიისათვის კი ურჩევდნენ წვრილ საკრედიტო ამხანაგობათა და კოოპერაციების დაარსებას, რომელთა წევრები ურთიერთის თავდებობით ღებდნენ ფულს სამეურნეო საჭიროებისათვის; წვრილ-წვრილი ამხანაგობანი თავის მხრით ერთდებოდნენ კავშირებში და ამგვარად ერთის სამეურნეო ბანკის ირგვლივ, როგორც ცენტრის გარშემო, გროვდებოდა ბევრი წვრილი საკრედიტო ან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. სოფელმა მიაწოდა ასეთ ცენტრალურ ბანკებს თავის ფულიც შესანახად, იქ იშოვა წვრილი კრედიტიც თავის საჭიროებისათვის, თვითონაც გაღონიერდა და პატარა ბანკებიც გააღონიერ-გაზარდა. ამგვარად, სამეურნეო ბანკები იმავ დროს გადაიქცნენ სასოფლო კოოპერაციის ამღორძინებელ დაწესებულებებად და დაუფასებელი სამსახური გაუწიეს ქვეყანას.

ჩვენმა ტფილ. სამეურნეო ბანკმა ცალ-მხრივი და შაბლონური მოქმედება დაიწყო თავიდანვე: საურთიერთო ნდობის ჩვეულებრივ საზოგადოების როლი იკისრა და ვერც თვითონ იხეირა, ვერც ქვეყანას არგო რამე. ასეც უნდა ყოფილიყო: ტფილისში სხვა მძლავრი ბანკებია ამ ხასიათისა, რომელთაც ჩვენი მეტოქეობას ვერ გაუწევდა; თუ ხეირის ნახვა უნდოდა და სარგებლის მოტანა ჩვენის დაცემულ ქვეყნისათვის, სხვა გზა უნდა აერჩია,—ისეთი გზა, რომელიც სხვებისათვის ჯერ სახეირო არ იყო, ჩვენს ხალხს კი ნამდვილ სამსახურს გაუწევდა, ესე იგი, უნდა მიქცეულიყო სოფლად და იქ ეცადნა სამოღვაწეო ასპარეზის მოპოვება. რასაკვირველია, ეს არც დღეს არის გვიან, საჭიროა ოღონდ მოფიქრება და მოსაზრება იმისა, თუ რომელი გზა ამჯობინებს ჩვენში სასოფლო კრედიტის მოსაწყობად. მართალია, ეს საქმე ადვილი არაა, ბევრ ენერგიის დახარჯვას მოითხოვს, ბევრი დაბრკოლება გადაეღობება წინ, მაგრამ აუსრულებელი რამ ოცნება არაა და თუ ამ ბანკს განვითარება-ზრდა სწადია და თან რაიმე სარგებლობის მოტანა ჩვენის ქვეყნისათვის სხვა ხსნა არაა, უნდა უეჭველად სოფელს მიჰმართოს.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 დეკემბერი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** მთავრობის ჯარმა სოფელ დერდერუდიდან რევოლიუციონერები განდევნა.

ლონდონიდან ჩამოვიდა სპარსეთის პარლამენტის ყოფილი წევრი ტაბი-ზადე, შაჰის მიერ სამშობლოდან გაძევებული 7 წლით.

**თეირანი.** განიზრახეს შეიხ ფაზლულას მოკვლა; იგი მსუბუქად ფეხში დასჭრეს. დამჭრელი ბრბომ შეიპყრო და სცემა.

ფერმან-ფერმა ისპაჰანის გუბერნატორად არ დაუნიშნიათ. მას ჰგზავნიან შაჰის უფლების აღსადგენად ამ პროვინციაში. იქვე იგზავნება თეირანში დაბანაკებული რაზმი ბაქტიარებისა სამსამუს-სალტანეს ძმის სორდარ ზეფერის მეთაურობით.

**ლონდონი.** თეირანიდან „რეიტერს" დეპეშით ატყობინებენ: შეიხ ფაზლულა, რომლის მოკვლაც განიზრახეს, მეტად გავლენიანი წევრია რეაქციონურ კლერიკალ პარტიისა. იგი ერთი თვალსაჩინო მრჩეველთაგანია შაჰისა. მსროლელი შეპყრობის დროს შეეცადა თავის მოკვლას. ამბობენ, მსროლელი ნაციონალისტურ პარტიას ეკუთვნისო.

**თეირანი.** ფაზლულას მოკვლის განმზრახველმა დაასახელა ამ საქმეში მონაწილეობის მიმღებნი. განზრახვა ჰქონდათ მოეკლათ შაჰი, საპეხ-სალარი და ზარაფხანის მოიჯარადრე. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. გამოძიება სწარმოებს.

### ოსმალეთი

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: დეპუტატთა პალატის პრეზიდენტმა პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ მანიფესტანტებს სიტყვით მიმართა და, სხვათა შორის, სთქვა, კრიტოსი ოსმალეთს ეკუთვნისო. დიდმა ვეზირმა განაცხადა, კრიტოსის შეერთების შესახებ გავრცელებული ხმები განგებ შეთხზული ჭორია, კრიტოსის ქრისტიანთა მიერ გავრცელებულიო.

**სტამბოლი.** მოსკოვის 16 ფირმათა წარმომადგენელმა გახსნა სტამბოლში რუსეთის მანუფაქტურის გამოფენა, რომელმაც კარგად ჩაიარა. საქონელი კარგია, მაგრამ ფასები ცოტა დიდია.

### ბალკანეთი

**ვენა.** ოფიციალური „ფრენდენბლატი" სწერს: იმ ახალ ინსტრუქციათა გამო, რომელიც ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობამ ჩააბარა თავის სტამბოლელ ელჩს, ოსმალეთთან მოლაპარაკების საქმე უკეთ მიდის, ვიდრე აქამდის მიდიოდა. ჩვენ წინადადებას, 2 ნახ. მილიონ. გირვანქის გ დახდის შესახებ. ოსმალეთის ბოსნიის მამულების ღირებულებად დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისათვის. მოლაპარაკების დროს ფულის რაოდენობას არ შეეხებიან, რადგან იგი უკვე განსაზღვრულია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოსმალეთი მიიღებს თავისთვის მეტად ხელსაყრელ წინადადებას და მოლაპარაკება ამით ორივე მხრის მიზანს შეასრულებს.

**ბელგრადი.** „პრეს-ბიურ." ცნობებით, ავსტრო ჰუნგრეთის ელჩის მოქმედება, მილოვანოვიჩის სიტყვით გამოწვეული, გამოიხატება შემდეგში: ელჩს თავის მთავრობისაგან დავალებული ჰქონდა შეეკითხებოდა მინისტრს მის უკანასკნელ სიტყვის გამო და ამ სიტყვის ნამდვილი შინაარსი გაეგო. მილოვანოვიჩმა საჭირო განმარტება მისცა და დაავალა ელჩს გამოუცხადოს ვენის მთავრობას, რომ სიტყვაში არაფერი ყოფილა ავსტრო-ჰუნგრეთის წინააღმდეგო. მინისტრი სწუხს, რომ მისი სიტყვა ავსტრო-ჰუნგრეთში ისე გაუგიათ, თითქოს იგი ყოფილიყოს ავსტრიისადმი სიძულვილით გამოწვეული. მაგრამ მინისტრი მილოვანოვიჩი მასაც ამბობს, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის შინაურ საქმეებზე კამათს სერბიის პარლამენტში შეუწყნარებლად სთვლის საერთაშორისო ჩვეულებადა მიხედვით.

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" დეპეშით აუწყებენ სარაევიდან: სერბრენიციდან იტყობინებიან, რომ გზაზე კრუტუნაჩიდან ფაკოვიჩში ჟანდარმთა რაზმს სროლა დაუწყეს სერბიის მხრიდან. ჟანდარმებმა სროლითვე უპასუხეს და უეჭველია ერთი მსროლელთაგანი დასჭრეს; ჟანდარმთაგან არავინ დაშავებულაო.

„კორესპონდენტ-ბიურო"-ს ატყობინებენ სტამბოლიდან, რომ ბაირამობის დღესასწაულის შემდეგ ავსტრიის ელჩმა პალოვაჩინმა განაახლა მოლაპარაკება დიდ ვეზირთან. ახალ ინსტრუქციათა მიხედვით, ქიამილფაშას შემდეგი წინადადება წარუდგინა: ავსტრ-ჰუნგრეთი იმეორებს წინადადებას სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ და წინდაწინვე სურვილს აცხადებს ოსმალეთის საბაჟო გადასახადის გადიდებაზე 11 პროცენტიდან 15 პროცენტამდე. რადგან ოსმალეთის მთავრობას არაერთხელ მოუთხოვნია ფულით ანაზღაურება ბოსნიის შეერთებით გამოწვეულ ზარალისა, ავსტრ-ჰუნგრეთის მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის 2 მილიონ ნახევარი გირვანქა (ოსმალეთის ფული) გადაუხადოს იმ მამულების ფასად, რომელიც ოსმალეთს ეკუთვნოდა ბოსნია-ჰერცოგოვინაში, მაგრამ რაკი ჯერ გამორკვეული არ არის, ეს მამულები ნამდვილად ოსმალეთს ეკუთვნოდა თუ ბოსნია-ჰერცოგოვინას, ამიტომ ამ ფულის გადახდა შეჩერებული იქნება იმ დრომდე, სანამ არ გამოირკვევა, თუნდაც სამედიატორო სასამართლოში, ვის ეკუთვნაინ ის მამულები, რომელნიც ბოსნიის შეერთებით ავსტრიის ხელში გადავიდა.

**ბუდაპეშტი.** „პესტერ ლოიდი" ეხება ავსტრო-ჰუნგრეთის წინადადებას ბოსნიის შეერთებისათვის 2 ნახ. მილიონ გირვანქის გადადების შესახებ და სწერს: ავსტრო-ჰუნგრეთმა უაწვერვალეს საზღვარს მიაღწია თავის წინადადებებით. შინაურები, უეჭველია, არ მოუწყობენ გარეშე საქმეთა მინისტრს დათმობის პოლიტიკას. იმედი აქვთ, რომ ეს გაფრთხილების მაგალითი კარგ გავლენას იქონიებს საერთაშორისო დამოკიდებულებათა საქმეებში.

### საზღვარ-გარედ

**ვაშინგტონი.** წარმომადგენელთა პალატამ დაადგინა (212 ხმით 35 ხმის წინააღმდეგ), შესწყვიტოს კამათი რუზველტის მოხსენების იმ ნაწილზე, რომელიც შეეხება მაძიებელ პოლიციის მოქმედებას.

**რომი.** გაიხსნა საგანგებო სესია დეპუტატთა პალატისა სამხრეთ იტალიაში მომხდარ ამბებისა გამო. პალატის პრეზიდენტმა აღნიშნა სახელმწიფოთა მეთაურებისა, უცხოელ დამხმარე რაზმებისა და აგრეთვე იტალიისა და უცხოელ მატროსების თავგამოდება მიწის ძვრის დროს. მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, მესინალ რეჯიო აღდგენილ იქნებიან, გამოუცხადა მადლობა უცხო ერებს, და შეიტანა კანონპროექტი დაზარალებულთა დასახმარებლად ზომების მიღების შესახებ. კანონ-პროექტის განსახილველად შესდგა კომისია.

**ლონდონი.** „რეიტერს" დეპეშით ატყობინებენ პეკინიდან: ამერიკისა და ინგლისის ელჩებმა უარი სთქვეს თავიანთ განზრახვაზე; მათ სურდათ სახელმწიფოებს ოფიციალურად მიემართათ ჩინეთის მთავრობისათვის, რომ შეეცვალა ის პოლიტიკა, რომელიც დამყარდა იუანშიკაის გადაყენების შემდეგ.

**ციურიხი.** მოხდა დამფუძნებელი კრება გერმანიის პურსა და ფქვილის ბოიკოტის კომიტეტისა, რომელიც შესდგებოდა ათ წისქვილისა და ხუთ პურით მოვაჭრისაგან. შეიმუშავეს ბოიკოტის წესები. აირჩიეს ხუთ-წევრიანი კომისია მიმდინარე საქმეთა წინასწარ განხილვისათვის.

### რუსეთი

**ტომსკი.** ნოვონიკოლაევსკში ტომსკიდან მიღებულ ფოსტის გახსნის დროს ორ შეკვრაში არ აღმოჩნდა 285,000 მანეთი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 19, გარდაიცვალა 7 კაცი.

**ოდესა.** ჯარის უფროსმა გოროდოვოის ფურმანს (ჰბრალდება ორი აფიცრის მოკვლა), სიკვდილით დასჯა უვადო კატორგად შეუცვალა.

**მოსკოვი.** მოსკოვში დაიწყო სრულიად რუსეთის ელექტრო-ტეხნიკური კრება. ქალაქის თავმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ელექტრო-ტეხნიკისა. მილოცვების ჩამოთვლის შემდეგ წაიკითხეს რამდენიმე მოხსენება. კრებაზე 300 წევრი გამოცხადდა.

**სიმფეროპოლი.** ოთხმა კაცმა რევოლვერით მოჰკლა სახაზინო არაყის დუქნის გამგე ნოვიაკოვლევში, ბერდიანსკის მაზრაში. გაიტაცეს დღიური ნავაჭრი.

**ეკატერინოსლავი.** მარიუპოლში შეიპყრეს იმ ბრბოს მეთაური, რომელმაც გაძარცვა ბაირაკის მადნის კასა. მას უპოვნეს რევოლვერი, მოგზაურობის ბილეთები და საბუთის ქაღალდები. დანაშაულობაში გამოტყდა. შეიპყრეს ამ საქმის სხვა მონაწილენიც.

**ვილნო.** დაიწყო სამხრეთ-ჩრდილოეთის სოფლების წარმომადგენელთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს საკითხები გლეხთა უფლებრივ და ეკონომიურ მდგომარეობის, სწავლა-განათლების საქმის შესახებ, აგრეთვე ამ მხრის გლეხთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივ მდგომარეობის შესახებ. ლაისწრნენ სათათბიროს მდივანი საზონოვიჩი, წევრები ზამისლოვსკი და პავლოვიჩი. გაუგზავნეს დეპეშები ხელმწიფეს—უქვეშევრდომილესი გრძნობის გამოსახატავად და მისალოცი დეპეშა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

**ნოვოჩერკასკი.** კნეინა იუსუფოვის ქვის ნახშირის მაღაროებში ცეცხლი გაჩნდა. დაიღუპა ორი მუშა, ქვა-ნახშირის მთხრელი.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **„ალის" დაკეტვა.** 28 დეკემბერს ტფ. ადმინისტრაციის განკარგულებით სამხედრო წესების მოხსნამდე დაიკეტა ქართული ყოველდღიური გაზეთი „ალი".

✦ **წ.-კ. საზოგადოების კრება.** როგორც ვწერდით, წერა-კითხვის საზოგადოების კრება დაინიშნა კვირას, 4 იანვრისათვის. ვინც ამ წლის დამლევამდე საწევრო ფულს არ შეიტანს, წევრის უფლებას დაჰკარგავს და კრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ წევრებს ძალიან ნაკლებად შეაქვთ ფული.

✦ **წ.-კ საზოგადოების დადგენილებანი.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ 28 დეკემბრის სხდომაზე, სხვათა შორის, დაადგინა, დაავალოს საადმინისტრაციო სექციას, წარუდგინოს გამგეობას დაწვრილებითი მოხსენება საზოგადოებასთან არსებულ ფონდების

## ფელეტონი

### მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

IV

**ოსმალეთის პარლამენტის გახსნა.**

წარსულ ფელეტონში უკვე გაგაცანით სულთანის აბდულ-ჰამიდის სეფე-სიტყვა, წარმოთქმული პირველ პარლამენტის გახსნის დროს. აღვნიშნეთ ისიც, რომ სულთანმა მაშინ თავის აღთქმას რამდენიმე თვის შემდეგ უღალატა და ეხლა ახალ სეფე სიტყვაში, რევოლიუციით იძულებული, თავის ოცდა თორმეტი წლის დანაშაულს მართლება დაუწყო. აი ეს სეფე-სიტყვაც:

„სენატორებო და ეპუტატებო! „კონსტიტუცია, რომელიც მე მივანიჭე ხალხს ტახტზედ ასვლის დროს, დროებით მოსპობილ იქმნა, რადგან მისი ცხოვრებაში გატარება ძლიერ ძნელი შეიქმნა. კონსტიტუციის მოსპობა აუცილებელი იყო და კიდეც განმარტეს ეს აუცილებლობა სახელმწიფოს მაშინდელმა უმაღლესმა პირებმა. კონსტიტუციის განხორციელება გადაიდო იმ დრომდის, სანამ ხალხში არ გავრცელდებოდა სასურველი სწავლა-განათლება და ხალხი არ მომზადდებოდა. ამ დროის განმავლობაში ყოველი ღონე იხმარეს, იმპერიის ყველა კუთხეში გახსნათ სკოლები და გაენათლებინათ ხალხი. მადლობა ღმერთს, სწავლა-განათლებაც შემოვიდა და ხალხიც მომზადდა. ამიტომაც, უკვე გამოთქმულ სურვილისამებრ დარწმუნებული ვიყავ, რომ აწმყოში და მომავალშიაც ამ სურვილის განხორციელება მოუტანს ბედნიერებას მთელს ჩვენ ქვეყანას,—თუმცა ბევრს სულ სხვა აზრი აქვს, და მეც გამოვაცხადე კონსტიტუცია დაუყოვნებლივ. მე ვუბრძანე მოეხდინათ არჩევნები ამ კონსტიტუციის თანახმად და მოეწვიათ დეპუტატთა პალატის სესსია.

„თანახმად ადმინისტრაციის სისტემის შეცვლისა, დიდ-ვეზირობა ქიამილ-ფაშას ვუბოძე. იმ დროს, როცა კაბინეტი, მისის თავმჯდომარეობით, სცდილობდა მოეხდინა რეორგანიზაცია ახალ კონსტიტუციონალურ ადმინისტრაციისა, პრინცმა ფერდინანდმა, ბოლგარიის მთავარმა და აღმოსავლეთ-რუმელიის ვალიმ, რალაც ნაირად მოახერხა გაჰქცეოდა ჩვენს იმპერატორებითს ერთგულებას და გამოეცხადებინა ბოლგარიის დამოუკიდებლობა. ამას მოჰყვა ავსტრიის მიერ შეერთება ბოსნიისა და ჰერცოგოვინისა, რაიც გამოეცხადა აგრეთვე სიებლიმ-პორტს და სხვა დიდ სახელმწიფოებს. ბოსნია და ჰერცოგოვინა მხოლოდ დაჭერილი იყო ავსტრიის მიერ ბერლინის ტრაქტატის ძალით. ამ ორმა ამბავმა, რომელიც შლის საერთაშორისო განწყობილებებს და არღვევს სახალხთაშორისო უფლებებს ჩვენ დიდი მწუხარება მოგვაყენა. ამ ძალადობაზედ პასუხის გაცემა შეუძლებინება სამინისტროს, რომელსაც მინდობილი აქვს ეხლა დაცვა იმპერიის ინტერესთა, და აგრეთვე დეპუტატთა პალატას.

„რადგან ჩვენსა და ყველა სხვა სახელმწიფოს შორის ეხლა კარგი განწყობილებაა, ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ მეგობარ სახელმწიფოთა დახმარებით პოლიტიკურ საკითხთა გადაწყვეტა კარგად დაბოლოვდება.

„ჩვენთვის ყველასათვის სასურველია ფინანსიურ საკითხთა გადაწყვეტა, ჩვენი ვალია დავამყაროთ თანხმობა შემოსავალსა და ხარჯს შორის; ჩვენი ვალია განვაახლოთ ქვეყანა, მივიღოთ ზომები, რომ გავაძლიეროთ კეთილდღეობა და ბედნიერება იმპერიის ყველა ქვეშევრდომისა; გავამრავლოთ და გავაუმჯობესოთ სკოლები სწავლა-განათლების გასავრცელებლად, ხელოვნებისა და მეცნიერების შესაქმნელად; განვადიდოთ ჩვენი სამხედრო და საზღვაო ძალები. აი რა არის ჩვენი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ როდესაც სახელმწიფო ადმინისტრაცია კანონპროექტებს წარმოადგენს, თქვენ შეისწავლით მათ, განსჯით და ყოველ ღონეს იხმართ ისეთი კანონები შეიმუშაოთ, რომ იგინი ღირსნი იყვნენ სენატისაგან დამტკიცებისა.

მე ვხსნი დეპუტატთა პალატას გულწრფელის სურვილით, რომ მან მოუტანოს ბედნიერება ჩვენს მთავრობასა და ჩვენს ქვეყანას, რომ იგი მათ საბედნიეროდ ყოფილიყოს. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ერის დეპუტატებსა ვხედავ. ჩემი წადილი ჩვენი ქვეყნის მთავრობის კონსტიტუციონალურ ფორმის შესახებ საბოლოო და უცვლელია.

„ღმერთსა ვთხოვ, რომ დეპუტატთა პალატამ სასარგებლო საქმეები აღასრულოს, სასარგებლო ჩვენის იმპერიისათვის და ხალხისათვის, და რომ ჩვენმა სამშობლომ მიაღწიოს უმაღლეს ბედნიერებას. ინებოს მაღალმა და ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა და მოგანიჭოთ წარმატება".

როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს სიტყვა უფრო გულ-დამწვარი კაცის ნათქვამია, ვიდრე გულწრფელი, თუმცა ხელმწიფე იტიბარს არ იტეხს და ისე ლაპარაკობს, თითქოს მას „მიენიჭებიოს" კონსტიტუცია. რაც შეეხება ფიცსა, რომ ეს სურვილი საბოლოოდ უცვლელიაო, პირველ სიტყვაშიაც ასე იყო ნათქვამი, მაგრამ მაშინ ძალა ჰქონდა და უღალატა თავის სიტყვას, ეხლა კი ეს ძალა აღარ შესწევს და შეიძლება ძალა-უნებურად მართლაც „უცვლელი" დარჩეს მისი „სურვილი". თუმცა რა საჭიროა ამაზედ ჩვენი ლაპარაკი! თვით დეპუტატები მისცემენ პასუხს და მაშინ უფრო ნათლად გავიგებთ ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობას. ეხლა მთელი კომისსია მუშაობს საპასუხო სიტყვის მოსამზადებლად.

მცირე ლოცვის შემდეგ სულთანი გამოვიდა პარლამენტიდან და გაემგზავრა სასახლისაკენ. ჩვენც დავიშალენით და წავედით შინ.

სულთანმა ფიცი აღარ გაიმეორა პარლამენტში, როგორც ზემოთა ვთქვით. ამან ცოტა უკმაყოფილება გამოიწვია ახალ გაზრდა ოსმალთა შორის და ვნახოთ რითი დაბოლოვდება ეს მცირე კონფლიქტი. ვინ იცის, შეიძლება აღარც კი გამოეკიდნენ ამ „მცირე რამეს", თუ მართლაც ეს ასე „მცირე" მოვლენაა.

გახსნის შემდეგ პარლამენტი უნდება მილოცვების პასუხს, მანდატების დამტკიცებასა და სხვა წვრილმან ფორმალურ საქმეთა აღსრულებას, ნამდვილი მსჯელობა, როგორც ვთქვით, ჯერ არ დაწყებულა. ღირს-შესანიშნავი არა მომხდარა-რა, გარდა ახმედ-რიზას პალატის პრეზიდენტად არჩევისა, გარდა ერთის ჯაშუშის გამორიცხვისა, რომელიც დეპუტატად აერჩიათ, და გარდა ბერძენ კაროლიდის მანდატის დამტკიცების შესახებ კამათისა. საქმე იმაშია, რომ ბერძნებს თურმე საბერძნეთიდან მოჰყავდათ ბერძნები და მათ აძლევინებდნენ მონაწილეობას არჩევნებში. კაროლიდის ოტტომანობაში ეჭვი შეიტანეს, მაგრამ გამოირკვა, რომ იგი მხოლოდ პროფესორად იყო ათინაში, დაბადებული კი სმირნაში ყოფილა, როგორც ოტტომანის ქვეშევრდომი. იგიც დაამტკიცეს.

რა იქნება შემდეგ ოტტომანის პარლამენტში, როცა ურთულესს საკითხთა გადაწყვეტას შეუდგებიან, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში მერე შევატყობინებ ამის შესახებ მკითხველთ. მე ბედნიერება მქონდა გავცნობოდი დეპუტატ ახმედ-ბეი თავდგირიძეს (რომელმაც მითხრა, რომ კიდევ არის სამი სხვა ქართველი დეპუტატი პარლამენტშიო. მე მათ ჯერ ვერ ვიცნობ), და მან აღმითქვა დახმარება პარლამენტში შესვლისათვის. რასაკვირველია, როცა თვით პარლამენტში მოვისმენ დებატებს, მაშინ უფრო ნათლად წარმოვიდგენ როგორც დეპუტატთა ნიჭსა და ძალას რთულ საკითხთა გადაწყვეტაში, ისე მნიშვნელობას თვით იმ საკითხთა, რომელნიც წამოყენებულ იქნებიან ხალხის წარმომადგენელთა მიერ.

ჩემის პირველ დაკვირვებით კი ვიტყვი, რომ ძლიერ უნდა გაუჭირდეს ოსმალეთის პალატას ბევრის საკითხის გადაწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ მისი თავმჯდომარე ახმედ-რიზაა, კაცი ფრიად განათლებული, ჭკვიანი და ევროპიულად აღზრდილი, გამოცდილი და მცოდნე პოლიტიკისა. მაგალითად, როგორ უნდა გადასწყვიტოს პარლამენტმა ნაციონალური საკითხი, სინიდისის თავისუფლების საკითხი და ბევრი ასეთი რთული რამე? ბ-ნ ახმედ-ბეი თავდგირიძემ მითხრა, მაგალითად, რომ ჩვენი მიზანია ასსიმილიაცია ყველა იმ ხალხისა, რომელიც სცხოვრობს ოტტომანის იმპერიაში! მე ვიცი, რომ ეს მთავარი აზრია უმეტეს ნაწილისა ახალგაზდა ცენტრალისტ ოსმალთა შორის. ამითი ისინი არ ჩამოუვარდებიან რუსის ზოგიერთა მემარცხენეებს, მხოლოდ ესენი უფრო პატიოსანი ხალხია და პირდაპირ ამბობენ, რასაც ფიქრობენ, რუსები კი რაღაცას მიედ-მოედებიან, გულით კი ახალგაზრდა ოსმალებზედ უფრო შოვინისტები არიან, და, რასაკვირველია, შოვინისტობას იმათ სწამებენ, ვინც წინ აღუდგება მათ შოვინიზმს. ეს დიდი ეშმაკობაა, მაგრამ არც ისეთი ჭკვიანი ეშმაკობა, როგორც ზოგიერთ ჩვენ, ქართველ ფეხის ხმის ამყოლ, პარტიის კაცებს ჰგონიათ. დიახ, შოვინიზმი თურმე აუცილებლად თან მისდევს განახლებულ ქვეყნის მოწინავეებსაც, თუ ამ ქვეყანაში განსაკუთრებით სხვა ერებიც სცხოვრობენ, მაგრამ ისიც მართალია, რომ ასეთი თესლის დათესისათვის ვარდი არავის არ მოუმკია და გუშინდელი რევოლიუციონერები დღეს ბნელეთის ახალ შემოქმედებად გამხდარან.

მაგრამ დავანებოთ ამასაც თავი. როგორ შეიძლება ოსმალებისაგან სხვათა ასსიმილიაცია, როდესაც 30 მილიონ „ოტტომანს" შორის მარტო მესამედი, ათი მილიონია თურქი, დანარჩენი კი სხვა ერები არიან, როდესაც ევროპის ოსმალეთში, მაგალითად, თურქობა უმცირესობაა. როგორ შეიძლება გათურქება არაბებისა, რომელთა რიცხვი 5 მილიონს უდრის, რომელთაც აქვთ ტერიტორია, ენა, ლიტერატურა, კუ-

შესახებ და შემუშაოს წესები ამ ფონდების მოხმარებისა. გამგეობამ დადგინა, ქუთაისის ბიბლიოთეკა—სამკითხველოს გაეგზავნოს წიგნები 25 მანეთისა. დასასრულ, გამგეობამ ბორჩალოს მაზრის სოფელ ჭალამშის სკოლის მასწავლებლად დაინიშნა სიმონ მჭედლიძე, ხოლო სოფ. გიორგი წმინდას სკოლისა—არისტოკლე რამინიშვილი. საგარეჯოს სკოლის მასწავლებლის კანდიდატებად არჩეულ იქმნენ დიმიტრი ბილანაშვილი და გ. ბოჭორიძე.

✦ **ტფ. გენერ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქმნენ: კომისაროვი 25 მანეთით, მეეტლენი ნიკოლოზ ლიშატევა და სედრაქ შამმედოვი—3—3 მან., კაპიტანი კირეევი—1 მან., ტარასი ჩიხლაძე—3 მან., თეოფანე ბესელია—5 მან., არტემა ივანელაშვილი—3 მ.ნ., სომეხთა წმ. გიორგის ეკლესიის მნათე სედრაქ ავეტიანცი—25 მან. ანუ (ორი კვირის ვადით დაპატიმრებით), სასტუმრო „კონტინენტალის" პატრონი მარიამ გინეპენი და სასტუმროს მეკარე სარქის მიკირტიჩიანცი— თითო 50 მ. (ან თითო თვით დაპატიმრებით) და კრიკორ ცრლატიანცი—2 მ. ზაქათალის მცხოვრები მიხეილ ბაიანდუროვს ერთი თვით ციხეში ჯდომა და შემდეგ საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევება მიესაჯა.

✦ **ქართულ ს.-კაზმულ მწერლობის საზ. კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, მოხდება პერიოდული კრება ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა, საკუთარ ბინაზე (მოსკოვის ქუჩა № 4). კრებაზე წაიკითხება შემდეგი ახალი ნაწარმოებნი: „ეშმაკის მოგზაურობა საქართველოში"—სატირა მაყაშვილისა, „ჰომბი"—ესკიზი ევდოშვილისა, „პოეტის სტუმრები"—ფანტაზია მაყაშვილისა. წაკითხვის შემდეგ გაიმართება მსჯელობა.

✦ **თავის მოკვლა.** წყნეთის ქუჩაზე, 28 დეკემბერს, თავის სახლში სანადირო თოფით თავი მოიკლა რუდოლფ მაკაროვიჩმა. მოკლული მიხეილის საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

● 28 დეკემბერს პოლიციამ დააპატიმრა მამედ ალი-მერსაყულიევი, რომელიც გადასახლებული იყო ქუთაისის მაზრაში და თავის ნებით დაბრუნებულა.

● 27 დეკემბერს გრაფის ქუჩაზე ხამპალაულე სახელოსნოში ჩხუბი მოსვლიათ გიორგი გელეულაძესა და ანდრია არდანიანს. ამ უკანასკნელს გულში დანა ჩაუკრავს და დაუჭრია გელეშაძე. დამჭრელი დააპატიმრეს.

● გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ქუთაისის ქალაქის მესამე სასწავლებლის მასწავლებელნი უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ექიმს კონსტანტინე თომაძეს ტყემელაშვილს, რომელმაც აღგვითქვა უფასოდ უმკურნალოს ამ სასწავლებლის ბავშვებს. აგრეთვე დიდ მადლობას ვუცხადებთ ექიმს გიორგი ლევანის ძე ქორქაშვილს, რომელიც მეხუთე წელიწადია უფასოდ მკურნალობს თვალით ავადმყოფ ბავშვებს. გამგე სასწავლებლისა ნ. მეხხი".

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **გამოფენა.** ქუთაისის გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოიკვლია, რომ ხარჯი გამოფენისა 1800 მანეთამდე ავიდა. ამ ხარჯის დასაფარავად იმედი აქვს, რომ მიიღებს დახმარებას საერობო ფულიდან. გარდა ამისა განზრახვა აქვს, მიმართოს ტფილისისა და ქუთაისის საკრედიტო დაწესებულებებს. შესვლის გადასახადი გამოფენაზე და ექსპონატების დაწყობის ფასი სოფლელთათვის არ დაწესდება. გადასახადი დაინიშნება მხოლოდ ქალაქელ-ექსპონენტებისათვის ნივთების დაწყობაში. გამოფენა გაიმართება სამეურნეო სკოლაში.

✦ **საფუთო გადასახადი.** შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე ზდანოვიჩი გაზაფხულამდის არ დაბრუნდება ქუთაისში, რადგან საკითხი საფუთო გადასახადის მომატების შესახებ სახელმწიფო სათათბიროში გადასდო გაზაფხულის სესიისათვის.

✦ **ნავთიანი ადგილები იმერეთში.** ბაღდადის მახლობლად ნანის წყლის ნაპირად დიდი ხანია შემჩნეულია ნავთის წყარო, რომლითაც ადგილობრივი მცხოვრებნი სარგებლობდნენ ოჯახის საჭიროებისათვის. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია ერთ ადგილობრივ მემამულეს, ქიმიკური ანალიზი გაუკეთებია ნავთისათვის და ნავთი საუკეთესო ხარისხისა აღმოჩენილა. ამის შემდეგ „ზაიავკები" გაუკეთებია და მიუღია შესაფერი მოწმობა. ეხლა თურმე ეძებს კაპიტალისტს.

✦ **საკრედიტო ამხანაგობა.** 30 ამ თვეს მოხდება მცირე კრედიტის კომიტეტის კრება, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ჩიბათის საზოგადოების თხოვნა საკრედიტო ამხანაგობის წესდების დამტკიცების შესახებ. ამ საკითხის შესახებ სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილების გამგეს წარუდგენია თავისი მოსაზრება და ის აზრი გამოუთქვამს, რომ ჩიბათის საზ. არ საჭიროებს საკრედიტო ამხანაგობას, თუმცა ამავე საგნის შესახებ მცირე კრედიტის ინსპექტორს წინააღმდეგი აზრი გამოუთქვამს.

✦ **საყოველთაო სწავლება.** 21 ამ თვეს, სასწავლო ოლქის მზრუნველის წინადადებით და სახალხო დირექტორის მოწოდებით შეიკრიბნენ საშუალო სასწავლებლების უფროსნი და ქალაქის სასკოლო კომისიის თავმჯდომარე საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად. ამავე დროს საგანგებო კომისია, რომელმაც აირჩია ქალაქის საბჭომ, ცნობებს ჰკრებს. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, მოსწავლეთა რიცხვი მცხოვრებთა რიცხვის მეშვიდეს აღემატება, რაც დიდ პროცენტად უნდა ჩაითვალოს. ყურადღების ღირსია სასწავლებლის გარეშე დარჩენილ ყმაწვილების რიცხვი, რომელიც 1200-ს აღემატება. ეს გარემოება ნათლად მოწმობს, რამდენად დიდია სწავლის წყურვილი და რამდენად ვერ კმაყოფილდება იგი.

## თანდათანობის ხალხი

წარმოიდგინეთ ისეთი ადამიანი, რომელსაც გულით სწამს, რომ ორჯელ ორი ოთხია, საჯაროდ კი ამ ჭეშმარიტების აღსარებისა ეშინია და ამბობს, დროისა და გარემოების მიხედვით ამ ამბის გამოცხადება უნიადაგო უტოპიააო.

ბევრჯელ შეხვდებით ცხოვრებაში ამგვარ სულდგმულთ. იმათ სწამთ, რომ ყოველნაირი ბოროტება ამ წუთი-სოფელში ადამიანის მიერ ადამიანის დაჩაგვრას წარმოადგენს, სწამთ, რომ ეს დაჩაგვრა სავსებით უნდა მოისპოს, ძირიან-ფესვიანად უნდა ამოიფხვრას, ხოლო არა დღეს, არა ამ წუთს, არამედ შორეულ მომავალში, რადგან ამას მოითხოვს ფხიზელი რეალური პოლიტიკაო.

ვინც დღეს, ყოველ წუთსა და ყოველ წამს აღიარებს სრულ ჭეშმარიტებას, ხმა მაღლა იძახის, რომ ძმამ ძმა სრულებით არ უნდა სტანჯოს, სრულებით არ უნდა სძარცოს, ჰყვლიფოს, უეჭველად გზაზე გადაეყრება მრავალ ისეთ სულდგმულთ, რომელთაც ეს ჭეშმარიტება გულში ჩაუხვევიათ და ზეპირად კი ამბობენ, ყველა ეს შეუძლებელია დღევანდელ პირობებში, დღეს თვითეული გონიერი სულდგმული თან და თან უნდა გადაეჩვიოს თავის ძმის ტანჯვას, ძარცვას და ყვლეფას, რადგან ამას მოითხოვს ფხიზელი რეალური პოლიტიკაო.

ისტორიულ კანონის ძალით, ფხიზელი რეალური პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ შეუძლებელია ადამიანმა ცოტ-ცოტა მაინც არა სტანჯოს ცოტ-ცოტა მაინც არ სძარცოს და არ ჰყვლიფოს თავისი მოძმე ადამიანი.

თუ ადამიანს სავსე, უნაკლო ჭეშმარიტება სწამს, რატომ საჯაროდ არ აღიარებს, რატომ არ ამბობს, რომ ყოველნაირი მცირე რეფორმა, ცალ-მხრივი გაუმჯობესება ცხოვრების ვითარებისა, მხოლოდ საცოდავი ქველმოქმედებაა და სხვა არაფერი; რატომ არ ამბობს, რომ ყველას უდრის ნაძარცვის, ნაყვლეფის მხოლოდ ერთ ნაწილს დაბრუნებას გაძარცულ-გაყვლეფილთა სასარგებლოდ და სხვას არაფერს.

ხშირად დაუფიქრებივარ ამ საოცარ გარემოებას და იმისი შემოქმედი მიზეზები ვერ ამიხსნია. ზოგჯერ შემდეგი ფიქრები მებადება და ამგვარ მოსაზრებით ვცდილობ ფხიზელ რეალურ პოლიტიკოსების სულის ვითარების ახსნას. ფხიზელი რეალური პოლიტიკოსი უმრავლესად უფრო ქონ-შემოკრებულთა წრეს ეკუთვნის, იმათ ფარგალშია აღზრდილ-განათლებული, ისეთ ყოფასაა შეჩვეული, როცა ეს წრე თან-და-თან უფრო და უფრო მეტ ქონებას იძენდა, ნელ-ნელა სულ უფრო და უფრო მაღლა ადიოდა ამ მსოფლიო კეთილდღეობის კიბეზე ძველ-დროის ბრწყინვალე და შეძლებულ წოდებას სწამდა, რომ ხალხის ხარჯით ეს მათი თან-და-თანობითი მაღლა და მაღლა ასვლა ცხოვრების უდიდესი და უსამართლოესი კანონი ყო. მამისაგან შვილზე გადამავალი კანონი სხვის ხარჯზე ნელ-ნელა და თანდათან ამაღლებისა შეძლებულ და ბრწყინვალე წოდებას ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, იგი ამ კანონის უეჭველი სამართლიანობით იყო გაჟღენთილი და ბოლოს და ბოლოს მიაღწია იმ უმაღლეს წერტილს, როცა ხალხს მოთმინება დაეკარგა და ყველას, ვინც იმის ზურგზე ამაღლდა, დაბლა ჩამოსასვლელად იწოდებდა, დღეს, სამართლიანობისაკენ მობრუნებულ ბედის ჩარხის წყალობით, ამ დაბლა ჩამოსვლის აუცილებლობა ცხადია ყველასათვის. ამას ვერ აღიარებს ქონ-შემოკრებილ და ბრწყინვალე წოდების შთამომავლობაც. ხოლო რაც მამებს ასვლისა სწამთ, შვილებს ჩამოსვლისა სწამთ, სწამთ, რომ როგორც მამები ნელ-ნელა ადიოდნენ, ისე შვილებიც ნელ-ნელა უნდა ჩამოვიდნენ ხალხის ზურგიდან ამ გადამახინჯებულ რწმენის მიზეზი სწორედ ის აღზრდა-განათლებაა, ის სულიერი ჰაერია, რომელსაც სულთქვამდა მოწინავე წოდება. იმისი ბუნება იმდენად გადაგვარებულია ამ თან-და-თანის მახინჯ პროცესსით, რომ სრულ ჭეშმარიტების, სრულ თავისუფლების შეგნება მისთვის შეუძლებელია.

ი. ნაკაშიძე.

## წერილები

**ფოთი.** (ქალაქის გამგეობის მოსამსახურეები). არა მგონია სხვა რომელიმე ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი იყვნენ ისეთ ცუდ მდგომარეობაში, როგორშიაც არიან ფოთისა. მათში აღარ არის ის ერთ-სულოვნება, რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ ამ ერთი წლის წინად. ამ ჟამად ვითომ და ერთის აზრისანი არიან რომელსამე საკითხში, მაგრამ ერთი მეორეს უნდობლობის თვალით უყურებს. თუ რას მოჰყვა ეს არა-სასიამოვნო მოვლენა, ადვილი ასახსნელია იმისთვის (ფოთელებისთვის), ვინც თვალებს განგებ არ აბრმავებს. საზოგადოდ ამ უკანასკნელ წლებში ფოთის ქალაქის გამგეობას ბევრი უცნაური რამ მოუვლინა. პირველი ბ-ნ თურქიას არ დამტკიცება გუბერნატორის მიერ, მეორე—მისი გაშვება, რასაც მოჰყვა საუკეთესო ხმოსნების სამსახურიდან გასვლა, და მესამე, ბ-ნ მეუნარგიას დამტკიცება (5 აპრილს 1907 წ.) ქალაქის თავის მოადგილედ. ამას მოჰყვა ხოლერა და ქალაქის კასის დაცარიელება. ერთმა მცხოვრებმა კიდეც იოხუნჯა: „ეს მეუნარგია ცუდი ფეხისაა: როცა აქ ჩამოვა ან ხოლერა უნდა მოჰყვეს, ან სხვა რამ უბედურებაო". ბ-ნმა მეუნარგიამ და ერთმა ჯგუფმა ხმოსნებისამ თავი მით ისახელეს, რომ მოსამსახურეებს ჯამაგირი მოუკლეს და ქალაქს მით ვითომ და სამსახური გაუწიეს. ბ-ნმა მეუნარგიამ და მისმა თანამოაზრე ხმოსნებმა ქალაქის კასას შესძინეს დაახლოვებით 1500—2000 მან. ნეტავი თუ მართლა ფიქრობენ გომელია—ჭვანია—ბაუბეუქ-მელიქიანცო, რომ ამით საქმე უკეთ დააყენეს?! რომ მათ შორის გამჭრიახობა ჰქონდეთ, ამდენსაც უნდა შეამჩნიათ, თუ რა შედეგი მოჰყვა ჯამაგირის მოკლებას.

ჯამაგირის მოკლებამ ის საკვეთი მოიტანა, რომ უთანხმოებაა გამგეობასა და მოსამსახურეებს შორის. და ან როგორ მოხდესა თანხმობა, როცა გამგეობა ყურადღებას არ აქცევს საბჭოს 1907 წლის 28 დეკემბრის დადგენილებას! ამ კრებაზე, ბ-ნ მეუნარგიას თავმჯდომარეობით, ირჩეოდა ქალაქის ხარჯ-აღრიცხვა 1908 წლისა. აი, სიტყვა სიტყვით დადგენილების შინაარსი: როცა ყველა მუხლი ხარჯ-აღრიცხვისა გადაათვალიერეს, მას დამტკიცებამდი ხმ. ს. ჯოჯუამ მადლობა გამოუცხადა საფინანსო კომისიას და თან სთხოვა საბჭოს, არ მოაკლო ჯამაგირი მოსამსახურეებისათვის, რადგან ზოგიერთნი თითქმის 20 წელიწადს მსახურობენო და თუ მაინცა და მაინც მოუკლეთ, იმათ მოუკლეთ, რომელნიც იღებენ 1500 მანეთზე მეტსაო. მაგრამ ეს წინადადება და ხმ. მაღრაძის საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა. ამასთან საბჭომ მაინდა გამგეობას შეამუშაოს დამატებითი მოხსენება იმ მოსამსახურეთა შესახებ, რომელნიც დიდი ხანი მსახურებენ. ასეთ დადგენილებისათვის გამგეობა ამ ხნის განმავლობაში თავსაც არ იტკივებს. მოსამსახურენიც სდუმან. თუმცა ხან-გამოშვებით ეოფის მამადივით წაილაპარაკებენ, მაგრამ მერე ისევ ჩაჩუმდებიან ხოლმე. რა არის ამისი მიზეზი? ვინ იცის, სად მარხია ყურშავას თავი! ეს მოვლენაც გონებ მალე გამომჟღავნდეს. მერე იცით რა ჯამაგირები აქვთ ამ მოსამსახურეებს? ის მოსამსახურე, რომელიც 23 წელიწადს ემსახურება ქალაქს და მძიმე სამსახურიც აქვს, იღებს 75 მან. და რომელიც 9—12 წ. 50 მან. ამათ მოუკლეს ჯამაგირი იმ დროს, როცა ყოველივე სანოვაგე გაძვირდა ფოთში. როცა ჯამაგირს უკლებდნენ, მაშინ ნახრის საქმეც ირჩეოდა. პურისა და ხორცის ნიხრი მოუმატეს და ჯამაგირი მოუკლეს. აი, ფოთის ქალაქის მამების ლოღიკა.

მოადგა 1909 წ. ხარჯთ-აღრიცხვაც. მოსამსახურეები ფიქრობდნენ გამგეობა და საბჭო შევლენ მათ მდგომარეობაშიო, მაგრამ ნუ გაგიწყრეს ღმერთი, მდგომარეობაში კი არა, კიდევ მოკლება უნდოდათ. 29 ნოემბერს ხმ. ბაუბეუქმელიქიანცმა დადო ჭკუა: „რკინის გზაზე 20 მანეთად მსახურებენო". ამას ჰქვიან: „სოფელი ვნახე უძაღლო, მიგ გავიარე უჯოხოდ". ხ. ჯოჯუამ უპასუხა: „თუ რკინის გზაზე 20 მანეთად მსახურობენ, სხვა სარგებლობაც მეტი აქვთ და მასთან რვა-ცხრა წლის განმავლობაში რომელსამე თვალსაჩინო ადგილს იღებენ, პენსიაც აქვთ. აქ კი რას მიიღებენ!" ამ მდგომარეობაში მყოფ მოსამსახურეებს ენა მუცელში ჩავარდნიათ და რადაცას მოელიან, მაგრამ რას, თითონაც არ იციან. ეხლა მაინც უნდა დარწმუნდნენ, რომ ქალაქის გამგეობა მათზე აღარ იზრუნებს, სანამ ეს საბჭო გამგეობის ხელში იქნება და გამგეობა—საბჭოს ხელში. ვ'ინი ვგონებ იმასაც კი სცდილობენ, რომ ძველი მოსამსახურენი თავიდან მოიშორონ. მერე აღარაფერი გაუჭირდება ქალაქს. ბაუბეუქმელიქიანცი ბუქნას დაუვლის, ჭვანია ტაშს დაუკრავს, ხოლო გაბელია ერთს მელიასავით გაიზმორება. რა შესაფერი „ტრიო" იქნება? მახლას! პურიშკევიჩი ჭკვით შორს, თორემ...

ბედკრულაძე.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა ახალ თეატრში** („პატარა კახი" აკაკისა). რეპერტუარის სისუსტე და სიღარიბე ქართულ თეატრის ერთ-ერთი ძველი ნაკლულევანებაა. გულუბრყვილობა იქნებოდა ჩვენის მხრივ, გვეფიქრა, რომ ახალი თეატრი, ახალი რეჟისორი და ხანგრძლივი მზადება წლევანდელ სეზონისთვის უეცრივ ამოავსებს ამ ნაკლს და უეცრივ დასძლევს რეპერტუარის სიღატაკესაო. ამის იმედი არა გვქონია, მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ, არც იმას მოველოდდით, რომ ქართულ თეატრის ეხლანდელი ხელმძღვანელნი „სამშობლოს", „პატარა კახს" და „ღალატს" ვერ გასცილდებოდნენ. სწორედ გულსაკლავი სანახაობაა! ჩვენს დროში დრამატიული მწერლობა ისეთის სისწრაფით ვითარდება და ისეთს ფართო ადგილს იჭერს ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში, რომ მას ამ მხრივ ეხლა ტოლი არც კი ჰყავს. ქართული თეატრი კი მისჩერებია დახავსებულს, ვითომ ისტორიულს და ნაციონალურს დრამებს და გულმოდგინეთ იმეორებს იმას, რაც დიდი ხანია მოსწყინდა დიდსაც და პატარასაც. ისტორიულ დრამების სახელით ქართულ სცენაზე ყოველთვის დიდის ხალისით გამოჰქონდათ ისტორიული ფეერიები, რომელთაც ფანტაზიის ნიშან-წყალი ჩვეულებრივ ძლიერ მოუსუსტდებოდათ, და ეს ჩვეულება წლევანდელს სეზონშიც ვერ დაუძლევია.

ხშირად გვსმენია და წაგვიკითხავს საყვედური ქართველ საზოგადოებისადმი, თეატრს არა სწყალობსო. რაც უნდა ძლიერ გაწყრნენ ჩვენი თეატრის გამგენი, მაინც პირდაპირ უნდა ვუთხრათ, დამნაშავენი თვით არიან და არა საზოგადოება. ხალხს თეატრი სულიერ საზრდოდ უნდა და არა იმიტომ, რომ გროშები მოგროვდეს სათეატრო კასსაში. თეატრის ხელმძღვანელნი კასსურ თვალსაზრისში ძლიერ გამჭრიახნი არიან, ხოლო სცენიდან სულიერ საზრდოს მოწოდებაში კი მეტად ჩლუნგი. ერთხელ, ორჯელ და სამჯერ რომ უქმად გაატარებს ადამიანი მთელ საღამოს ან დილას თეატრის დარბაზში, შემდეგ მას ისე აუცრუვდება გული, რომ ველარაფრით ველარ მოინადირებ. „სამშობლო", „პატარა კახი", „ღალატი", „მტარვალი", „და ძმა" და ათასი სხვა ამგვარი ფეერია ქართულ თეატრს თანდათან წინ კი არა, უკანა სწევს. თუ თეატრის ეხლანდელ ხელმძღვანელებს თითონ ვერ მოუხერხებიათ რიგიან პიესების არჩევა, ეს ფრიად სამწუხარო მოვლენაა, უფრო სამწუხარო, ვიდრე ის, რომ ქართველი არტისტები როლს იშვიათად სწავლობენ ხოლმე.

„პატარა კახი" უფრო ზღაპრულ გულუბრყვილობის კალოზე დაწერილი პოემაა, ვიდრე დრამა. აქ ადამიანები ისეთ მარტივ ფიქრების და გრძნობების მატარებელნი არიან, მათი ინტერესები ისეთ სწორ და უხლართო ხაზებს ჰგვანან, რომ კაცს ეგონება. ამ პოემაში მოთხრობილი ამბავი სადღაც ტიკინების ქვეყანაში მომხდარი არაკი იქნება, თორემ დედამიწის ზურგზე ასეთი ანგელოზებური სიმარტივე რა დასაჯერებელიაო. „პატარა კახის" ზოგიერთი ადგილები ხელის ხელ საგოგმანებო პოეტურ მარგალიტებს შეიცავენ,—ეს უეჭველია, მაგრამ მთლად კი იგი მეტად სუსტი ნაწარმოებია. არაფერი არ გვეთქმის იმის წინააღმდეგ, რომ ზოგჯერ „პატარა კახისთანა" დრამებიც დასდგან ქართულ სცენაზე, მაგრამ მხოლოდ ზოგჯერ, როგორც გამონაკლისი... დრამატიულ საზოგადოებას კი (ამ სეზონში სულ ოთხჯერ დაუდგეს დღევანდლამდე ბინა წარმოდგენებისთვის და ოთხი წარმოდგენიდან სამი ისტორიულმა ფეერიამ დაიკავა.

„პატარა კახი" იმ გვარი პიესაა, რომ მისი ასრულება სცენაზე მოითხოვს არტისტებისაგან არა თამაშს, არამედ დეკლამაციას. არტისტებს ფრაკების და სერთუკების მაგიერ რომ ჩოხები აცვიათ, ამით დეკლამაცია დრამატიულ თამაშობად არ გადიქცევა. დეკლამატორისთვის უპირველესი პირობა ლექსის გაზეპირებაა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს არტისტებს ამ მხრივ წუნი არ დაედებოდათ: აკაკის მსუბუქი და მომხიბლელი ლექსი თითქმის ყველამ კარგად იცოდა ზეპირად; თვით პატარა კახის ამასრულებელი, ბ-ნი გვარამძე ხომ აჭარბებდა კიდეც გადამეტებულის „სხაპა-სხუპით" და სიჩქარისა გამო სიტყვების ყლაპვით შიგა და შიგ.

როგორც ვთქვით, „პატარა კახში" არტისტიულ ნიჭს გასაქანი მეტად შეზღუდული აქვს. ამის და მიუხედავად ბ-ნმა შალიკაშვილმა მაინც მოახერხა თავისებურ სულის ჩაბერვა გივის როლში. გაკვრით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი იმედაშვილიც კარგი დეკლამატორი იყო. მაგრამ ამ არტისტმა დიდი შრომა უნდა დასდოს თავის თავს, რათა ცოტაოდენი სცენაზე შესძინოს თავის კილოს და მიხვრა-მოხვრას. ბ-ნი გამყრელიძე წინად უკეთესი გელა იყო ხოლმე, ვიდრე ეხლა. ქ-ნი მდივანი სწორედ თავის ადგილას ჰგრძნობდა თავს. ამ წარმოდგენაზე პირველად ვნახეთ ქ-ნი ქილარჯიანი და სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ პირველი შთაბეჭდილება სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო.

---

ლტურა, რელიგია და თვით მათ მთელი კულტურა და სჯული მისცეს ოსმალებსა? როგორ შეიძლება ბერძენთა და სომეხთა გათურქება „ამოუწყვეტლად"? ყოველივე ეს აბსურდია, და თუ ამ გზას დაადგა ოტტომანის პარლამენტი— იძულებული იქნება ძველი დესპოტიზმი დააბრუნოს, რადგან ასეთი „ასიმილიაცია" ძალით არის შესაძლებელი მხოლოდ. ხოლო თუ სხვა მხრივ მოუარეს საკითხს და განსაჯეს იგი კარგად, მაშინ ფედერალიზმი აუცილებელი დასკვნა იქნება.

ყოველივე ეს ვუთხარ ბ-ნ ახმედ-ბეი თავდგირიძეს, ისიც „პრინციპიალურად" დამეთანხმა და მითხრა.

— ჩვენ გვინდა მაგისი მსგავსი რამ იემენისათვის (არაბეთშია) შემოვიღოთ.

— თუ იემენისათვის შემოიღებთ, მაშინ მთელ არაბეთისათვისაც მალე დაგჭირდებათ, თუ არაბეთისთვის, მაშინ ყველასათვის ეს აუცილებელია, და ისევ ისა სჯობია, ეხლავ კარგად გაითვალისწინოთ ეს დიდი პრობლემა,—ვუთხარ მე.

დეპუტატს არაფერი უთქვამს. საკვირველი ის არის, რომ აქაც ფედერალიზმი „გაყოფა" ჰგონიათ, როგორც ჩვენში. განუსაზღვრელ სახელმწიფო შოვინიზმს ხელოვნურად აქვს გადარეული ეს ორი ცნება— „გაყოფა" და „ფედერაცია" და ბევრ გულ-უბრყვილოს იგი მართლაც ერთი და იგივე ჰგონია. მაგრამ უფრო საკვირველი ის არის, რომ ქართველები აქაც ფანატიკოსი ცენტრალისტები და თურქოფილები არიან, როგორც ჩვენში „განუყოფელ რუსეთის" მომხრენი. ჩერქეზს, ლაზს, ალბანელს, არაბს, ყველას აქვს ინტერესი თავის ერისა, ყველ'ს კლუბი მაინც აქვს საკუთარი, ქართველს კი არაფერი! იგი ოტტომანია, როგორც გურული დეპუტატი რუსია, და ჰგონია, რომ დიდ მამულიშვილობას სჩადის ამით!.. რა არის ამისი მიზეზი? ლაჩრობა, ძველი დროის ნაანდერძევი შიში თუ რა?—ჩერქეზებსა ვკითხე და ერთმა მათგანმა მითხრა:

— სიზარმაცე ქართველთა!

— როგორი სიზარმაცე,—კვლავ ვკითხე:—აზრის სიზარმაცე თუ ჩვეულებრივი მეთქი?

მან ეშმაკურად გაიღიმა და არა სთქვა რა. ვინ იცის, რა პასუხი მომცა გუნებაში.

როგორ უნდა გადასწყვიტონ აგრეთვე სინიდისის თავისუფლების საკითხი ოსმალებმა? როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, სინიდისის მონობა და ოჯახის უარ-ყოფა იყო მთავარი მიზეზი მთელი მათი მონობისა. როგორ უნდა გამოაცხადონ ეს „თავისუფლება", როცა ხალხი მაშინვე ხმლით გაიწევს ბერძენ სიძისკენ ან ბერძენი რძლისაკენაც-კი? როგორ უნდა დაიხსნიონ თავი ევროპასა და შექმნან ნამდვილი თავიანთი საკუთარი საზოგადოებრივი ორგანიზმი და სხვა და სხვა?—აი საკითხები და ურთულესი საკითხები, რომელთაც უნდა სძლიოს ოსმალეთის გონებამ და ამ ბრძოლაში გამარჯვებით გამოსვლაზე არის დამოკიდებული მისი ბედი და იღბალი, მისი მომავალი.

დიაჰ, ოსმალეთი, ერთი თვალუწვდენელი ველია სოციოლოგიურ ცდათა აღსრულებისათვის, პოლიტიკურ, ეკონომიურ, ეროვნულ, რელიგიურ და ზნეობრივ მოვლენათა შეცვლასა და ამ ცვლილების მიერ ახალ მოვლენათა წარმოშობის მხრივ. და ამიტომაც ახლანდელი ვითარება ოსმალეთისა მარტო პოლიტიკოსს კი არა, მთელ საზოგადოებრივ მეცნიერებას უნდა აინტერესებდეს.

უხალ-კართ-

**ქუთაისი.** ქუთაისის პატარა სცენაზე შაბათს, 27 დეკ., ახლად ჩამოსულ რუსულ საოპერო დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა დიდებული ოპერა „ფაუსტი“. წარმოდგენამ გვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ჯერ ერთი უკრავდნენ როიალზე, მეორე სცენიდან მუსიკას შეუხამებელი და უთვალოდ მოუხეშავი ხმები ისმოდა და სმენას ჰზარავდა. მეფისტოფელის როლის ამსრულებელი სუმიანოვი უშნოდ და ულაზათოდ იგრიხებოდა, რასაც საერთო უხეირო თამაშით მოწყენილი საზოგადოება გაეცინებინა და ქანდარაზე მეოფთა შორის ტაში გამოეწვია. „ფაუსტის“ როლის ამსრულებელი კონსტანიანი თავის როლს სულ ვერ მოერია და „ფაუსტის“ მაგიერ დაგვისურათხატა ხრინწიანი და მოუქნელი დახლიდარი. სუსტობდნენ სხვებიც. მათი სიმღერა და თამაში მშრალი და უგრძნობელი იყო.

მიუხედავად ყველა ამისა, თეატრი მაინც გაჭედილი იყო და ამ დღეს ამ ვითომდა საოპერო დასმა ექვსას-სხუთასი მანეთი ჩაიხჩრიალა. საკვირველია სწორედ ქუთათურების საქმე! ქართული მსახიობები თუ ყოველთვის არა, ზოგჯერ მაინც კარგ პიესებსა სდგამენ და კარგადაც თამაშობენ, მაგრამ იქ კაცს ვერა ნახავთ; ცირკსა და ასეთ „ოპერებზე“-კი ცხვირ-პირს იმტვრევენ. **სანდრო.**

## სპარსეთის ამბები

**რევოლიუციონერების დამარცხება.**

„ტიფ. ლ.“-ს თავრიზიდან სწერენ: გამართლდა ფიდაების გოგიანში დამარცხების ამბავი. შეტაკება სელიმ-ხანთან სამკვდრო სასიცოცხლო იყო. ზარალი ორივე მხარეს დიდი მოუვიდა. ყველაზე საგრძნობლად დაზიანდა ფიდაების რაზმი. ამ რაზმის 450 კაციდან 150 კაცმა ძლივ მოასწრო გაქცევა. დაჭრილ-დახოცილი ორივე მხარეს აუარებელია. თავრიზელ ფიდაებმა გაგზავნეს საშველი რაზმი ერთი ზარბაზნით. ამ რაზმა დაიჭირა სოფელი სარდარუდი. ალყის შემორტყმის მოლოდინში თავრიზელმა ფიდაებმა ოფიციალურად შეატყობინეს რუსეთის კონსულს საბაყოს დაჭერის შესახებ, ისიც დაუმატეს, ენჯუმენის დადგენილებით საბაყოს შემოსავალს ჩვენ მოვიხმართ სიჭიროებისამებრო.

**შაჰი და ვაჭრები.**

უცხოელი გაზეთები გადმოგვცემენ ფრიად საინტერესო ამბავს შაჰის ფინანსების შესახებ.

შაჰის სიმამრის და ამავე დროს ბიძის ნაიბეს-სალთანეს შვილმა ჯვარი დაიწერა პრინცი ზილე-სალთანეს შვილის შვილზე. ამ ჯვრის წერას მნიშვნელობას აძლევდნენ, რადგან მას უნდა შეესუსტებინა შაჰის და პრინცის შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება ამიტომ დიდის ამბით სურდათ გადაეხადად ქორწილი. ქორწილთან ერთათ განზრახული იყო ევროპიელ კოლონისტათვის ნადიმი. მაგრამ ნადიმი აღარ გაიმართა, რადგან ვაჭრებს შაჰისთვის ნისიად სანოვაგე არ მიუციათ. თურმე ვაჭრებს დღესაც არ მიუღიათ ორი წლის წინად შაჰის დაბადების სადღესასწაულოდ წაღებული ნისია. ვაჭრების უარის გამო სასახლეში ნადიმის ნაცვლად გაიმართა სადამო ევროპიულ საკონსულოთა წარმომადგენლებისთვის.

## ანდრია ბენაშვილი

(ნეკროლოგი)

10 ამა დეკემბერს ქუთაისში სრულიად მოულოდნელად, სამი დღის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ქართულ გიმნაზიის და საეპარქიო ქალთა სასწავლებლის მასწავლებელი ანდრია ბენაშვილი. განსვენებული ამ დღეებში ჩვენთან ერთად მუშაობდა აკაკის საიუბილეო კომიტეტში, ამზადებდა ქალთა ხორის ამ დღესასწაულისათვის, მაგრამ შეუბრალებელმა სიკვდილმა არ დააცადა, რომ დასწრებოდა დღესასწაულს და იუბილეის ორი დღის წინად საუკუნოდ გამოგვეთხოვა.

განსვენების დღეს, 12 დეკემბერს, მიცვალებულის ბინას ეკურებოდა პატივის-მცემელნი მიაწყდა. ამხანაგებმა და მოწაფეებმა გვირგვინებით შეამკეს მისი კუბო. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა.

ანდრია ბენაშვილი დაიბადა კახეთში, სოფ. ზემო მაჩხაანში. იგი 55 წლის კაცი იყო. ღრმად მოხუცი მამა მისი დღეანდლამდე სიმთანი ცოცხალია. ტფილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ანდრია ერთი წელიწადი მასწავლებლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, მას მერე კი სიკვდილამდის ქუთაისს აღარ მოსცილებია, სადაც მასწავლებლობდა სხვა და სხვა სასწავლებელში. ანდრია 25 წელიწადი ასწავლიდა ქართულ ენას ქუთ. სასულიერო სასწავლებელში და იმავე დროს დოტბარობდა გაბრიელ ეპისკოპოზის მგალობელთა გუნდს. როგორც მასწავლებელი იგი შეუდარებელი იყო. მშვენივრად იცოდა თავისი საგანი, სწავლების უნარიც დიდი ჰქონდა. მან პირველად ჩაგვინერგა გულში დედა ენის სიყვარული და შეგვაყვარა წიგნების კითხვა. ჰქონდა კარგი წიგნთ-საცავი, საიდანაც ყოველ შაბათობით გვარიგებდა მოწაფეებს პატარ-პატარა ლამაზად დაკაზმულ წიგნაკებს ჩვენის ცოდნის მიხედვით. გაკვეთილის დროს ანდრია მუდამ სხვა და სხვა საგნებზედ გვებაასებოდა, გვიკითხავდა შინაარსიან წიგნებს, გვაცნობდა ქართველ მწერლებს და მათ ზოგიერთ ნაწარმოებს, ჩვენც გახალისებულნი, მოუთმენლად ველოდით მის გაკვეთილს და თან მზად გვქონდა აუარებელი კითხვები, რომლებზედაც ის დაუზარებლად ტკბილად პასუხს გვაძლევდა. ამ ხანებში, თუ არა ვცდები, მან შეადგინა მოკლე ქართული გრამატიკა.

როგორც გალობის მცოდნეს, ბენაშვილს საპატიო ადგილი ეჭირა ყველა ჩვენ მგალობელთა შორის. მის მიერ ნოტებზედ გადაღებული საეკლესიო და საერო საგალობელნი კარგა მოზრდილ წიგნს შეადგენს. როგორც გავიგე, განსვენებულს დამზადებული ჰქონდა დასაბეჭდად რამდენიმე საგალობელი, მაგრამ ხელმოკლეობისა გამო დაუბეჭდავი დარჩა. ეპისკოპოზის ხორის დოტბარობას რომ თავი გაანება ანდრიამ, იმერეთის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში გამწესდა გალობის მასწავლებლად. იქ მან მგალობელთა მშვენიერი გუნდი შეადგინა, რომელიც კახურს კილოზედ გალობდა.

როგორც ადამიანი, ანდრია ბენაშვილი მეტად ძვირფასი თვისებებით იყო დაჯილდოვებული. იგი იშვიათი გულკეთილი იყო, უწყინარი, კაცთ-მოყვარე, სათნოიანი და შემბრალე; საზოგადოთ კი განვითარებული ჭკვიანი და დინჯი ადამიანი, უზომო მოყვარული სამშობლო ენისა და ქვეყნის სიბრალული მოძმისადმი ისე ძლიერი იყო მასში, რომ ყოველ ჟამს მზად იყო გაჭირვებულს, რითაც შეეძლო, დახმარებოდა. რამდენი ემაწვილი აღზრდა მან თავის ხარჯით, ზოგიერთი მათგანი ეხლა უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებულნი არიან. ამ უკანასკნელ დროსაც ზრდიდა იგი ერთ ღარიბ გიმნაზიელს თავისს ხარჯით, რომელიც გულსაკლავად მისტიროდა გაცივებულ ანდრიას გვამს. საზოგადოდ, ანდრია ისეთი კაცი იყო, რომ არ უყვარდა კეთილი საქმის გამოქვეყნება და თავის გამოჩენა.

ასეთი იშვიათი ადამიანი მოაკლდა ჩვენს ისედაც დაკნინებულს ინტელიგენტთა რიცხვს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კაცთ-მოყვარე ადამიანო! **რაჟ. კანდელაკი.**

## ილია ჭავჭავაძის ფონდი

გაახლებთ ბორჯომში შეგროვილს 131 მანეთს. ეს ფული შეგროვილია ილია ჭავჭავაძის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად და ძეგლის ასაგებად. (შეკრებილი ფული უნდა გაიყოს ორ თანასწორ ნაწილად—ფონდისათვის და ძეგლისა). შემომწირველთა სია:

ზაქარია დანელია—3 მან., ვლ. ყიფიანი—40 მან., ზაზა კიკნაძე—5 მან., Христофоръ Михайловъ—3 მ., ანტონ გახოკიძე—3 მ. 50 კ., გაიანე ყიფიანისა—1 მ. Александръ Чхеидзе—50 კ., გიორგი ზუციშვილი—1 მ., ერასტი აბრამაშვილი—1 მ., ალ. ლაზარაშვილი—50 კ., სვიმონ ჯიჯაური—2 მ., ნიკოლაი ჯომარდიძე—5 მ., მარგარიტა ზაალაძე—50 კ., დავით ქიტიაშვილი—2 მ., ახალკაცი—1 მ., ნიკო ლიჩელი—50 კ., ვახო კიკნაძე—50 კ., მღ. ი. გორგაძე—3 მ., П. Семиглазовъ—1 მ., ილიკო მაისურაძე—3 მ., ვარდენ კიკნაძე—1 მ., გლახო პაქსაშვილი—1 მ., ვლ. ფირცხალავა—1 მ. 50 კ., დათია ნეკაძე—1 მ., რაჟდენ გვერწითელი—2 მ. 50 კ., ანდრო თედიაშვილი—2 მ. 50 კ., კირილე პაქსაშვილი—2 მ. 50 კ., აფრასიონ პაქსაშვილი 1 მ. 50 კ., Иванъ Мельниковъ—1 მ., დიმიტრი მუგიციძე—1 მ., ლექსო თედიაშვილი—1 მ., მარკოზ გაგრილოვ—3 მ., გრიგოლ აბრამაშვილი—3 მ., ლევანტი ზვედელიძე—1 მ., ფირა აბრამოვ-ლაზაროვ—10 მან., იასონ ჩიხლაძე—1 მ., ხოლომონ ზუციშვილი—3 მ., ხიკო დინარაძე—1 მ. 30 კ., სპირიდონ ზუციშვილი—1 მ. 30 კ., კიმოთე მარაიძე—1 მ. 30 კ., Кириллъ Пискуновъ—1 მ. 50 კ., Пантелеймонъ Короленко—1 მ., ტროფიმე წინამძღვრიშვილი—1 მ., გიორგი კობახიძე—1 მ. 30 კ., ალექსი დავლიანი—1 მ. 30 კ., გიორგი დავლიანი—40 კ. ლუარსაბ აბრამაშვილი—1 მ. 30 კ., აბრამ ღორეული—1 მ., დავით ზუციშვილი—1 მ., ვასო კლიმიაშვილი—1 მ. 50 კ., ხიმონ სოხანაძე—1 მ. 20 კ., გიორგი თაქთაქიშვილი—60 კ., გიორგი პურაშვილი, გიორგი ბენიამინი—3 მ., დავით ბენიამინი—1 მ. 60 კ., აბრამ ბენიამინი—1 მ. 60 კ. იოსებ ბადალოვ—1 მ. 60 კ., ხარქის კარაპეტოვ—1 მ 60 კ., იოსებ აივაზოვ—2 მ. კოტე ქალიაშვილი—50 კ., გიორგი ორთიძე—70 კ., იოსებ ორთიძე—70 კ., ბესო მაჭარაშვილი—1 მ., ტარასი კუპრაძე—1 მ., მაქსიმე კუპრაძე—1 მ., Аликронъ Толмирида—10 მ., სულ 131 მ. **ვლ. ყიფიანი.**

## რუსეთი

**✦ ლექციის აკრძალვა.** მოსკოვის გუბერნატორს პეროვისთვის აუკრძალავს ლექციის წაკითხვა ხოლერაზე იმ მიზეზით, რომ ეხლა ხოლერა აღარ არის და ამნაირი ლექცია ხალხში მხოლოდ შფოთსა და არეულობას დაბადებსო.

**✦ ვარშავაში ხარჯის გამწერი ინსპექტორები.** ხუთ წელიწადში ერთხელ ვარშავაში უძრავ მამულების დაფასება ხდება. ასეთი დაფასება მოახდარა მიმდინარე წლის დამდეგსაც. მამულის დაფასების წინ სახლ-ას-პატრონებთან მიდიოდნენ ვიღაც უცნობები და ინსპექტორების სახელით ქრთამს სთხოვდნენ, თქვე მამულს ნაკლებ ფას დავადებთო. ვარშავის ბევრ სახლის პატრონს უსარგებლია ამ შემთხვევით და დასთანხმებია. ზოგიერთი ინსპექტორები ამითი არ დაკმაყოფილებულან და სახლის პატრონებისთვის სხვა და სხვა ხარჯის თხოვნა დაუწყიათ. მაგ. ერთ ინსპექტორა ერთ სახლის პატრონისთვის 20,000 მ. მოუთხოვნია. სახლის პატრონს წინანდელ „მორიგებაზე“ მიუთითებია, მაგრამ ინსპექტორს პროკურორით დაუშინებია და თავისი გაუტანია. ამისთანა მაგალითი ვარშავაში ბევრი ყოფილა და ამიტომ „მორიგება“ საიდუმლოებად არ დარჩენილა. ერთ დღეს ერთ ინსპექტორთან მისულა ორი კაცი და უთხოვნია, ხარჯი შეგვიმცირეთო; ინსპექტორს უთქვამს: 300 მანეთს თუ მომცემთ, შევასრულებთო. ისინი დასთანხმებიან და ბოლოს გამოუცხადებიათ, რომ ჩვენ საიდუმლო პოლიციის აგენტები ვართო. ამის შემდეგ ეს საქმე ჩაუფუჩეჩებიათ, მაგრამ ხმას მაინც პეტერბურგამდე მიუწევია და რევიზია დაუნიშნავთ. რევიზიას ყველაფერი გაუგია და ეხლა ყველა ინსპექტორს სამსახურიდან ითხოვენ, გარდა ერთისა, რომელიც თურმე თავის მოვალეობას სინიდისიერად ასრულებდა. ინსპექტორებს ცალ-ცალკე დაითხოვენ, რომ საქმე არ გამომჟღავნდეს. ვარშავაშივე ხმები დადის, რომ საიდუმლო პოლიციაში ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინესო. ჯერ-ჯერობით 12 აგენტი დაუთხოვნიათ სამსახურიდან.

**✦ გზათა სამინისტროში.** 1907 წელს 28 დეკემბერს საგზაო სამინისტროს იურისკონსულტს ტაინი სოვეტნიკს დელაროვს თავის სამუშაო კაბინეტში უცემია ქ-ნ კ—სთვის. დელაროვს ისე უცემია ქალისთვის, რომ იგი რამდენიმე კვირა ლოგინად ჩავარდნილა. როცა ქ-ნი კ. მორჩენილა, მას საჩივარი აღუძრავს პეტერბურგის სამოსამართლო პალატაში; პალატის პროკურორმა ყველაფერი ეს გზათა მინისტრს გადასცა, რომელსაც ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

**✦ ჩამოხრჩობა.** ჩამოხრჩობა გადაწყვეტილი აქვთ: ირბიტში 1, რიგაში 7, კიევში 2, ეკატერინოსლავში 5, ხარკოვში 7, კურსკში 3 კაცს. ჩამოუხრჩვიათ: კიევში 2, რიგაში 1, ვორონეჟში 2, ეკატერინბურგში 2, ლოძში 1 კაცი.

**✦ პროვოკატორი პოლკოვნიკი.** ეხლახან პრიმორსკის სამხედრო ოლქის სასამართლოში გაირჩა პოლკ. ზავარნიცკის და საიდუმლო პოლიციის ორი აგენტის საქმე. საქმის ვითარება ამნაირად ყოფილა: საიდუმლო პოლიციის უფროს პოლკ. ზავარნიცკის აგენტისთვის მიუცია ფული, რითაც აგენტს უყიდნია კუბო, ჩაუდვია ბარათი და ისე მიუკანავნია თავის უფროსისთვის. წერილში აგენტს, უფროსის ბრძანებით დაუწერია: „თუ თქვენ თავს არ დაანებებთ რევოლიუციონერების დევნას, მაშინ ამ მოკლე ხანში ამ კუბოში ჩაგაწვენთ. სოციალისტ-რევოლიუციონერები“. ამის შემდეგ საიდუმლო პოლიციამ ტყუილა-უბრალოდ დააპატიმრა აუარებელი უდანაშაულო ხალხი. სასამართლომ გამოარკვია აგრეთვე, რომ მეორე აგენტს, ზავარნიცკის ბრძანებით, შეედგინა ყალბი სია სოციალისტ-რევოლიუციონერ მუშებისა; უფროსისვე ბრძანებით დაეკრა სოციალისტ რევოლიუციონერების ყალბი ბეჭედი და ამ სახით რამდენიმე ათი კაცი გადაესახლებინათ. ამას გარდა ზავარნიცკის ბრძანებით, აგენტები არა-ლეგალურ ლიტერატურას სახლებში ჰყრიდნენ და აპატიმრებდნენ ხალხს. ზოგიერთ შემთხვევაში ყუმბარებსაც აწყობდნენ. ზავარნიცკის ყალბი დოკუმენტიც შეუდგენია, საიდანაც სჩანდა, ვითომ სამხედრო გუბერნატორი გენერალი ფლუგი და ნავთსადგურის უფროსი მფარველობას უწევდნენ სოციალისტ-რევოლიუციონერებს. სასამართლოს განაჩენით, ზავარნიცკის ჩამოართვეს ორდენები და ჩინები, მემკვიდრეობის უფლება და 4 წლით პატიმართა განყოფილებაში გაგზავნეს. ისინი, რომელნიც ტყუილ-უბრალოდ იქმნენ დაპატიმრებულნი, გაანთავისუფლეს.

## ძვირფასი ხელნაწერი.

კორიდეთის ტაძარზე ნაწერ სახარებას ვგულისხმობ. მის უკანასკნელ გვერდზე არის ქორონიკონიანი წარწერა, რომელიც დაწერილია გიორგი ხუცესძის ხელით.

წარწერა—გუჯარი შესანიშნავია მით, რომ იგი აქამდის ცნობილ სიგელ-გუჯართა შორის ყველაზე უძველესი თარიღიანი ძეგლია.

წარწერა მეტად გადალეულა და მის გამო იგი შეუმჩნევლად დარჩენია კორიდეთის სახარების წარწერების პირველ შემსწავლელს მარი ბროსეს; მის გამოცნობას ჩვენც დიდი ხანია ვცდილობდით და ზოგიერთ დარჩენილ სიტყვებისა და ასოების ნაშთებისა და ნაწილების შეკოწიწებით ძლივს გავიგეთ წარწერის დედა აზრი. მომყავს ისე, როგორც გამოარკვა:

სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა მე გიორგი დავასხი ვენაკი (რუს)თაულ და საცახევარს. მე გიორგი ხუცისძემან შევწირე ნახევარი, ნახევრისა საფასი ავიღე დასაჯერებელად ჩემად: ია ასარისა. .სა...თესავსა, არცა ჩემსა.. (საბ)ლისა ეკლესსა ხატი ჰქონდა წმიდაი შობით ძმისა ჩემისა (კელით) სადა ხუცე(ბულიყო ბრძანებითა მეფის...) ცხებულისათა... (დავდევი) ეს ხატი დოლისყა(ნას) ქორონიკონსა მა.

შემდეგმა შესწავლამ შეიძლება ზოგი სიტყვა შეგვაცვლევინოს, მაგრამ არა სიტყვები: გიორგი ხუცის ძე დოლისყანა, ქორონიკონი მა (=821 წ.), ასარი (=1/20 დინარისა) და სხ.

დოლისყანა აჭარაშია. აქ ახალი და[illegible] ქართველთა მეფე სუმბატმ, რომელიც გარდაიცვალა 958 წელს.

ფრიად შესანიშნავია ამავე კორიდეთის სახარების სხვა წარწერებიც, ბოძებულნი ჯაყელებას (შესხეთის ათაბაგების წინაპრების) სახლის წევრთაგან.

სთვ კორიდეთი დღესაც არსებობს. მასში 9 კომლი (50 სული) ქართველია 1886 წლის გამოც. სტატისტ. ცნობებით.

ყველა ეს წარწერა და თვით კორიდეთის ძეგლის ტექსტის შედარება ქართ. ძველ ხელნაწერების ტექსტანა მოთავსებულ იქნება საეკლესიო მუზეუმის კატალოგში, რომელიც, როგორც წინადაც შევნიშნეთ, უკვე იბეჭდება. **მ. ჯანაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.


## განცხადებანი!

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

### ნუ რცხვენით ქალებს!..

ანუ

**„კაცობრიობის მტერნი“**

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით. ფასი 65 კაპ.

„დროების“ ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергiевская, 51, ф. Каминской.

მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

### ფეხსაცმელების სახელოსნო

ვამზადებთ ყოველნაირ საქონელს შეღავათიან ფასებში, ვასრულებთ სუფთად, მაგრად და დანიშნულ ვადაზე. ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითარიშვილისა, N 28.

პატივისცემით (20—5.—10) ივ. ხვ. ბერძნიშვილი.

ნაღდი ფასებში ▲ ▼ ხარისხი მაღალი (side borders)

### იყიდება თაფლი

საუკეთესო ღირსებისა ✦ ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების ✦ (ილია ჭავჭავაძის ყოფილი) მამულიდან.

კოჩუბეის ქუჩა, № 10.

**ნავთიან ლამპის საუკეთესო ასანთები**

„პრაქტუსი“ . . 4 მან.
„ინდექსი“ . . 4 მან.
„გუნდი“ . . . 4 მან.

ყველა ლამპებისთვის გამოსადეგია.



ა. ა. მელიქოვი.

ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტფილისში. (10—ხალ—5

### იყიდება ქვის ნახშირი

(ანტრაციტი)

საუკეთესო დონის მაღნებისა ინჟ. ოტონი

შეკვეთა მიიღება ამხანაგობა „ი ნ ჟ ი ნ ე რ“-ი ს კანტორაში, კიროჩნი ქუჩა, № 5. ტელეფ. № 888.

ამასთან კანტორა კისრულობს ფეჩების გადაკეთებას ქვის ნახშირის სახმარებლად. (6—699—1)

### ქუთაისში საწყობი ნამდვილ ყიფიანის ღვინოებისა



ლუარსაბ ლუარსაბის ძის და დიმიტრი ყიფიანების ხვანჭკარის ზვრებიდან, იყიდება ქუთაისში ტფილისის ქ., ქალაქის სახლში. ეს ღვინო საუკეთესო არომატის და გემოს სასმელია, რომელსაც ხმარობენ ექიმების რჩევით სისხლ-ნაკლულნი და დაუძლურებულნი ძალ-ღონის მოსაგვრელად.

ფირმა **ორი ათას მანეთით** არის პასუხის-მგებელი თუ ვინმე მასში სიყალბეს აღმოაჩენს. ფირმა დაჯილდოვებულია პარიზის გამოფენაზე ოქროს მედლით და ქების ფურცლით. მომავალ **უქმეებისათვის** ფასები დაკლებულია. ღვინოებს ვგზავნით ფასდადებითაც. აქვე საწყობში იყიდება ყიფიანის **ვაზებიც ალექსანდროულის ჯიშისა.** (4—33.—4)

GRAND PRIX

1870 წ. პარიჟი 1900 წ. 1882 წ.

1865 წ. 1896 წ.

დედამიწაზე საუკეთესო

## კალოშები

სამ კუთხით

1860. Т.Р.А.Р.М. С.ПЕТЕРБУРГЪ.

რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობა ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“ ს.-პეტერბურგში

სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.

იყიდება ყველგან (50—5.—39)